რჩევები მასწავლებლებს

იყავით ფხიზლად ძალადობის მიმართ!

თუ ამჩნევთ, რომ მოსწავლემ:

- ინტერესი დაკარგა სწავლის მიმართ
- თავს არიდებს უფროსებთან და თანატოლებთან ურთიერთობას
- გაურბის საუბარს
- დაძაბულია
- შეშინებული
- გაღიზიანებული
- აღენიშნება გუნება-განწყობილების ხშირი ცვლილება

ის, შესაძლოა, ძალადობის მსხვერპლი იყოს.

ასეთ შემთხვევაში

- მართეთ სიტუაცია
- იმოქმედეთ რაც შეიძლება სწრაფად
- აგრძნობინეთ მოსწავლეს თქვენი თანადგომა
- მოუსმინეთ, შეეცადეთ აღმოუჩინოთ დახმარება

- შეუქმენით მოსწავლეს ისეთი გარემო, რომ დასჯის შიშით სიმართლე არ დამალოს
- ესაუბრეთ ძალადობისა და მისი თავიდან აცილების გზების შესახებ
- ასწავლეთ კონფლიქტური სიტუაციების მშვიდობიანი გზით მოგვარება და პრობლემის არაძალადობრივი გზით გადაჭრის ხერხები
- მოუსმინეთ ყურადღებით. ის, რაც თქვენთვის უმნიშვნელოა, შესაძლოა მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყოს
- დაარწმუნეთ, რომ დახმარების თხოვნა სწორი და თამამი ნაბიჯია და არა სისუსტე
- ითანამშრომლეთ მშობლებთან
- ღიად ესაუბრეთ მის ემოციებზე
- აუხსენით, რომ არსებობს სიტუაციები, როდესაც პრობლემის მოსაგვარებლად უფროსის ჩარევა აუცილებელია
- გამოუმუშავეთ თავდაჯერებულობა
- ასწავლეთ სხვების პატივისცემა
- აგრძნობინეთ, რომ მისი აზრი თქვენთვის მნიშვნელოვანია
- არ გააკრიტიკოთ სხვების თანდასწრებით
- წაახალისეთ სოციალურ პროექტებში, სპორტულ და სახელოვნებო ღონისძიებებში მისი მონაწილეობა

შეუქმენით სკოლაში პოზიტიური გარემო, სადაც ყველა მოსწავლე დაცულად იგრძნობს თავს.

მოსწავლეზე შესაძლო ძალადობის შესახებ ეჭვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ სკოლაში რეფერირების პროცედურებზე პასუხისმგებელ პირს.

ფსიქოლოგის კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში დარეკეთ:

ტელ.: 0800000088

ზარი უფასოა